

საქართველოს 2019 და 2015 წლების ალკოჰოლის,  
თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების  
შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევის (ESPAD)  
შედეგების ანალიზი

ავტორი  
მარიამ ფაშალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული  
პროფესორი დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021 წელი

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ფაშალიშვილი

2021 წელი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** მსოფლიოში ნარკოტიკების მოხმარება იზრდება. ეს გამოიხატება მომხმარებელთა საერთო რაოდენობის პროცენტულ ზრდაშიც. 2009 წელს, ბოლო 12 თვის მოხმარების მიხედვით, 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის 4.8%, ანუ 210 მილიონი ადამიანი მოიხმარდა ნარკოტიკის, 2018 წელს, ეს რიცხვი იმავე ასაკობრივ ჯგუფში 269 მილიონია, ანუ მოსახლეობის 5.3%-ი. რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში ადიქცია მწვავე გამოწვევაა, ინექციური მოხმარების გავრცელებით, საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა. ფსიქოაქტიური ნივთიერების მომხმარების ეროვნული მასშტაბის პირველი კვლევა საქართველოში 2015 წელს ჩატარდა. კვლევის შედეგად დადგინა, რომ მარიხუანა გასინჯული ჰქონდა რესპონდენტთა 15%-16%-ს. კონკრეტულ რეგიონებში კი, მამაკაცების 70%-ზე მეტს.

კანაფის მოხმარება ახალგაზრდებში დიდი ინტერესის საგანია და ამის შემსწავლელი ყველაზე რელევანტური კვლევა ESPAD-ია, რომელიც საქართველოში უკვე 2-ჯერ 2015 და 2019 წლებში ჩატარდა. კანაფის პროდუქტებთან მიმართებაში ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია საქართველოში 2015 წელს დაიწყო, 2017 წელს კი საქართველო იმ ქვეყნების სიას შეუერთდა, სადაც კანაფის პროდუქტების მოხმარება დეკრიმინალიზებულია.

დღევანდელი რეალობა რომ გავითვალისწინოთ, კანაფის მოხმარებასთან ერთად, გარკვეულ რისკის შემცველ ქცევას წარმოადგენს აზარტული თამაშები, რომელიც ზოგადად გავრცელებულია მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდებში.

დღევანდელ რეალობაში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ისეთივე პანდემიაა, როგორც COVID-19. აზარტული თამაშების ინდუსტრია ყოველდღიურად იზრდება. ეს დიდ გამოწვევას წარმოადგენს როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის. კვლევის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში, მოზარდებში აზარტული თამაშების გავრცელების მაჩვენებელი ზრდასრულების მაჩვენებელს 2-4 ჯერ აღემატება, ხოლო 12-დან 17 წლის ასაკის მოზარდების 8% პათოლოგიური მოთამაშეა.

**კვლევის მიზანი:** მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ESPAD-ის კვლევის მონაცემების მეორადი ანალიზის მეშვეობით ქართველ მოზარდებში 2015 და 2019 წლებში კანაფის პროდუქტების მოხმარების და აზარტული თამაშების გავრცელების შედარება და ამ ქცევებთან ასოცირებული ფაქტორების შესწავლა. ვინაიდან დეკრიმინალიზაციის შემდეგ ასეთი ტიპის შედარება არ მომხდარა, ეს იქნება პირველი კვლევა, რომელიც მასაძლოა მიგვანიშნებს დეკრიმინალიზაციის გავლენას არასრულწლოვნებში მარიხუანას მოხმარებაზე.

**კვლევის მეთოდი:** კვლევის მეთოდად სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდი. გაკეთდა კანაფის კანონმდებლობის სამაგიდე კვლევა და შინაარსის თვისებრივი ანალიზი. ESPAD-ის რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა STATA-ში. საერთო ჯამში, სტატისტიკურ პროგრამაში დამუშავდა 5569 მოსწავლის მონაცემი. გაკეთდა 2015 და 2019 კანაფთან დაკავშირებული ცვლადების სიხშირეების შედარება, განსხვავებების სარწმუნოების შემოწმება და ფაქტორების რეგრესიული ანალიზი.

**შედეგები:** 2019 წელს 2015 წელთან შედარებით (95% CI 4.4235% - 11.1602%  $p < 0.0001$ ) გაიზარდა იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელიც ფიქრობს რომ მარიხუანას მოპოვება ან ძალიან ადვილი ან ადვილია. მატება შესამჩნევია გოგონებში (95% CI 1.7985% - 16.7882%  $p < 0.003$ ). 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მოსწავლეების რაოდენობა ვინც ბოლო 30 დღის მანძილზე მოიხმარა კანაფი (95% CI 3.1894% - 6.0329%,  $p < 0.0001$ ). ზრდა შესამჩნევია როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში.

კითხვარი ითვალისწინებდა შეკითხვებს სხვადასხვა ფსიქო-სოციალურ ფაქტორებზე. რეგრესიის ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ კანაფის ცხოვრების მანძილზე მოწვევის პრევალენტობა უფრო მაღალი იყო იმ ბავშვებში, ვისმა მშობლებმაც იშვიათად იციან სად არის ბავშვი საღამოობით, ვიდრე პრევალენტობა იმ ბავშვებში, ვისმა მშობლებმაც ყოველთვის იციან სად არის მათი ბავშვი საღამოობით (RR=1.7 95% CI 1.17-2.49  $p=0.005$ ). ასევე გამოიკვეთა, რომ კანაფის მოწვევის პრევალენტობა მათში, ვისმა მშობლებმაც იშვიათად იციან ვისთან ერთად არის ბავშვი ან არასდროს არ იციან ვისთან ერთად არის ბავშვი უფრო მაღალია (RR=1.6 95% CI 1.14-2.52  $p=0.009$  და RR=2.3 95% CI 1.25-4.27  $p=0.008$ ), ვიდრე პრევალენტობა იმ ბავშვებში ვისმა მშობლებმაც

ყოველთვის იციან ვისთან ერთად არის მისი ბავშვი სადამოობით. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, 2019 წელს სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა (95% CI 7.3171% - 17.1195%  $p < 0.0001$ ) იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვინც თვლის, რომ მარიხუანას მოხმარების შედეგად, ჯანმრთელობისთვის რისკი არ არის.

2019 წელს, იმ მოსწავლეებიდან ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ითამაშა აზარტული თამაში, 7 % (222) ითამაშა ინტერნეტით, ხოლო 22% (648) უპასუხა, რომ ფულზე სათამაშოდ არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი. გამოკითხულთა 5 %-ს (ბიჭების 8% და გოგონების 2%) ჰქონდა სურვილი თამაშისას დაედო უფრო და უფრო მეტი თანხა ( $X^2 = 63.8834$   $df=2$   $Pr = 0.000$ ), ხოლო გამოკითხულთა 3%-ს (ბიჭების 5 % და გოგონების 1%) მოუწია მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის ფსონთან დაკავშირებული ტყუილის თქმა. ( $X^2 = 32.9312$   $df=2$   $Pr = 0.0001$ ). რეგრესიის ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ აზარტული თამაშების პრევალენტობა ბოლო 12 თვის მანძილზე მათში ვისი მშობლებიც იშვიათად, ხანდახან ან საერთოდ არ უდგენენ წესებს თუ რისი გაკეთება შეუძლია შვილს სახლში უფრო დაბალია, ვიდრე პრევალენტობა იმ ბავშვებში ვისი მშობლებიც ყოველთვის უდგენენ ბავშვს წესებს სახლში. ასევე, აზარტული თამაშების პრევალენტობა ბოლო 12 თვის მათში ვისმა მშობლებმაც იშვიათად ( $RR=2,09$  95% CI 1.25-3.50  $p=0.005$ ) ან ხანდახან ( $RR=1,82$  95% CI 1.03-3.22  $p=0.03$ ) იციან ვისთან ერთად არის ბავშვი უფრო მაღალია, ვიდრე პრევალენტობა იმ ბავშვებში ვისმა მშობლებმაც ყოველთვის იციან ვისთან ერთად არის მათი ბავშვი სადამოობით. აზარტულ თამაშში მონაწილეობის პრევალენტობა უფრო დაბალია მათში ვისი მშობლებიც ფულს იშვიათად ( $RR=0,5$  95% CI 0.32-0.78  $p=0.002$ ) ან არასდროს ( $RR=0,52$  95% CI 0.27-0.97  $p=0.04$ ) ჩუქნიან ბავშვს, ვიდრე მათში ვისი მშობლებიც ყოველთვის ჩუქნიან ფულს.

**დასკვნა:** მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა შესაძლოა გარკვეულ გავლენას ახდენდეს მოზარდებში კანაფის პროდუქტების მოხმარების ტენდენციების ცვლილებაზე.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანონის ლიბერალიზაციის ფონზე იკლებს კანაფის მოხმარების შედეგად ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის აღქმის რისკი და ასევე

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მშობლის ყურადღება დამცავი ფაქტორის როლს ასრულებს.

აზარტულ თამაშებთან მიმართებაში, გამოიკვეთა, რომ კანონის აღსრულება არ ხდება და ვერანაირი ბერკეტით ვერ კონტროლდება მოზარდების ჩართულობა ამ სფეროში. როგორც მარიხუანას შემთხვევაში, აქაც მშობლის ყურადღება დამცავი ფაქტორის როლს თამაშობს. პრობლემური გემბლერების რიცხვი საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე საკმაოდ მაღალია, რაც ყურადსაღებია.

**საკვანძო სიტყვები:** ცვლილება, კანონპროექტი, მარიხუანა, კანაფი, დეკრიმინალიზაცია, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

## **Abstract:**

**Introduction:** The modern world has agreed that addiction is a global human crisis, the drug use in the world is raising day by day. This is reflected in the increase of the percentage in the total number of users. In 2009, 4.8% of the 15-64 age group, or 210 million people consumed drugs, in 2018, that number was 269 million in the same age group, or 5.3% of the population. As for Georgia, addiction is a serious challenge, with the spread of injecting drug users Georgia ranks third in the world. The first national survey of psychoactive substance use in Georgia was conducted in 2015. The survey found that 15% -16% of respondents had tried marijuana at least once in their lifetime. In specific regions, more than 70% of men. Drug policy liberalization in Georgia started in 2015, and in 2017 it joined the list of countries where usage of cannabis is decriminalized.

Nowadays gambling is as challenging pandemic as COVID-19. The gambling industry is broadening day by day. Gambling addiction is a growing public health problem not only in Georgia, especially in adolescents and young people, but also all around the world. According to research data, worldwide, the prevalence of gambling in adolescents is 2-4 times higher than in adults, and 8% of adolescents aged 12 to 17 are problem gamblers.

**Aim of the study:** The aim of this master's thesis is to compare the prevalence of cannabis consumption and gambling among Georgian adolescents in 2015 and 2019 through secondary analysis of ESPAD research data and to study the risk-factors associated with these behaviors. Since no one has done this type of study after decriminalization, this will be the first study to find out the effect of decriminalization in adolescents.

**Study methods:** The research method is a mixed research method. A desk study of cannabis legislation and a qualitative analysis of the content was done. ESPAD quantitative data was processed in the statistical program STATA. In total, data from 5,569 students were processed in the statistical program.

**Results:** In 2019, the number of students who think marijuana use is either too easy or easy had increased (95% CI 4.4235% - 11.1602%  $p < 0.0001$ ) compared to 2015. An increase is observed especially in girls (95% CI 1.7985% - 16.7882%  $p < 0.003$ ). Compared to 2015, there was a statistically significant increase in the number of students who consumed cannabis in the last 30 days (95% CI 3.1894% - 6.0329%,  $p < 0.0001$ ). The increase is noticeable among girls (95% CI 2.5% - 6.9%,  $p < 0.0001$ ) as well as boys (95% CI 5.2% - 7.8%,  $p < 0.0001$ ). Compared to 2015, in 2019 there was a statistically significant increase (95% CI 7.3171% - 17.1195%  $p < 0.0001$ ) in the number of students who believe that use of marijuana doesn't represent any risk to health.

The questionnaire included questions on various psycho-social factors. Regression analysis revealed that the lifetime prevalence of cannabis smoking was higher in children whose parents rarely knew where the child was in the evening than the prevalence in children whose parents always knew where their child was in the evening (RR = 1.7 95% CI 1.17-2.49  $p = 0.005$ ).

It was also found that the prevalence of cannabis smoking in those whose parents rarely know with whom the child is or never know who the child is with is higher (RR = 1.6 95% CI 1.14-2.52  $p = 0.009$  and RR = 2.3 95% CI 1.25-4.27  $p = 0.008$ ) than the prevalence in children whose parents always know with whom their child is in the evenings.

Compared to 2015 data, in 2019 there was a statistically significant increase (12.60% 95% CI 7.3171% - 17.1195%  $p < 0.0001$ ) in the number of students who believe that marijuana use doesn't have a risk to health.

In 2019, of the students who gambled in the last 12 months, 7% (222) gambled online, while 22% (648) answered that they had never used the internet to gamble for money. 5% of respondents (8% of boys and 2% of girls) wanted to bet more and more money ( $X^2 = 63.8834$   $df = 2$   $Pr = 0.000$ ), and 3% (5% of boys and 1% of girls) had lie about the bet to people important to them. ( $X^2 = 32.9312$   $df = 2$   $Pr = 0.0001$ ). Regression analysis found that the prevalence of gambling in the last 12 months in those whose parents seldom, sometimes or not at all set rules for what a child can do at home was lower than the prevalence in those whose parents always set rules at home, respectively (RR = 0.55 95% CI 0.35-0.86  $p = 0.009$ ), (RR = 0.46 95% CI 0.30-0.71  $p = 0.0001$ ). (RR = 0.61 95% CI 0.43-0.87  $p = 0.006$ ). Also, the prevalence of gambling in the last 12 months in those whose parents rarely (RR = 2.09 95% CI 1.25-3.50  $p = 0.005$ ) or sometimes (RR = 1.82 95% CI 1.03-3.22  $p = 0.03$ ) know with whom their child is in the evening, is higher than the prevalence in children whose parents always know whom with their child is in the evenings. It was found that the prevalence of those whose parents rarely (RR = 0.5 95% CI 0.32-0.78  $p = 0.002$ ) or never (RR = 0.52 95% CI 0.27-0.97  $p = 0.04$ ) give money to a child is lower than I know. Parents also always donate money.

**Conclusion:** Given the results of this master's thesis, we can say that the existing legislation in the country might have a certain impact on changing trends in cannabis consumption among adults. We can assume that the liberalization of the law has an impact on the low perceived risk of harm caused to health as a result of cannabis consumption, and we can also assume that parental attention plays a protective role.

With regard to gambling, it has been revealed that the law is not enforced and the involvement of adults in this field cannot be controlled by any leverage. As in the case of marijuana, parental attention plays a protective role in heren as well. The number of problematic gamblers is above the European average, which is noteworthy.

**Key words:** Marijuana, cannabis, decriminalization, gambling addiction, drug policy



## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორს **დავით ოთიაშვილს**, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით ევროპის სასკოლო კვლევის (ESPAD) მკვლევარებს ჩატარებული სამუშაოსთვის, რომელმაც შესაძლებლობა მომცა შემესწავლა და შემეძარებინა მონაცემები. ასევე მადლობას ვუხდით კვლევის თითოეულ მონაწილეს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით **ქალბატონ ლელა სტურუას** გაწეული შრომისათვის.